

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ვაკანსიას დღის ახალი ამბებისა და დაგეგმვის პროდიუსერის თანამდებობაზე.

პოზიცია: დღის ახალი ამბებისა და დაგეგმვის პროდიუსერი (რედაქტორი)

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა: 3 თვე

ანგარიშვალდებულება:

- ანგარიშვალდებულია ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორის და მისი მოადგილეების წინაშე ახალი ამბების, დაგეგმვის და ვებ რედაქტირების მიმართულებით (ახალი ამბების ხელმძღვანელი, დაგეგმვის მთავარი რედაქტორი და ციფრული მაუწყებლობის მთავარი რედაქტორი).

სამუშაოს აღწერა:

- დღის ახალი ამბებისა და დაგეგმვის პროდიუსერი მართავს ინტეგრირებული ნიუსრუმის რადარული მართვის ცენტრს ე.წ. „რადარ დესკს“ და დაგეგმვის ცენტრს.
- ეს ორი ადგილი უზრუნველყოფს ნიუსრუმის წარმატებულ მუშაობას. შემუშავებული სტრატეგიის და სარედაქციო პოლიტიკის საფუძველზე გეგმავს და ახორციელებს ყოველდღიურ საოპერაციო პროცესს. უზრუნველყოფს იმას, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახური მომხმარებლებს სთავაზობდეს საკუთარ, მომხმარებლის ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირებულ საინფორმაციო დღისწესრიგს, ყველა პლატფორმაზე და შესაბამის დროს.
- ახალი ამბებისა და დაგეგმვის პროდიუსერის მოვალეობაა საზოგადოებრივ მაუწყებელს არ დარჩეს გაუშუქებელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და საჭირო არცერთი მოვლენა. სწორად იყოს დაგეგმილი და გადანაწილებული ახალი ამბები პლატფორმებზე, შერჩეული და გამოყენებული რესურსები. ის ხელმძღვანელობს ცენტრალური მართვის აპარატის, ე.წ. „სუპერდესკის“ („სუპერდესკი“ მართავს ინტეგრირებულ ნიუსრუმს) გადანყვეტილებებით და უზრუნველყოფს ნიუსრუმის გამართულ მუშაობას. ის ასევე, სარედაქციო პოლიტიკაზე და განსაზღვრულობაზე დაყრდნობით, იღებს გადანყვეტილებებს რა და როგორ უნდა გაშუქდეს ყოველდღიურ პროცესში. საკუთარ გადანყვეტილებებზე ვიზას იღებს სუპერდესკიდან. დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მჭიდროდ ურთიერთობს თემატური მიმართულებების ხელმძღვანელებთან, ურუნალისტებთან და გამომშვებ პროდიუსერებთან/რედაქტორებთან. ის არ განსაზღვრავს

პროგრამის, გამოშვების დღისწესრიგს, არცერთ პლატფორმაზე, თუმცა ის უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების გაშუქების დღისწესრიგს ზოგად დონეზე.

მოვალეობები:

- ანონსების მოძიება;
- ახალი ამბების მოძიება და გადამუშავება;
- ამბების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაგეგმვა;
- მიმდინარე ამბების კონტროლი (ე.წ. ბრეიქინგ ნიუსი);
- ამბის ე.წ. ბექგრაუნდის დამუშავება.

სამუშაო გრაფიკი:

სამუშო დღე - 12 საათი, კვირაში 4-5 დღე (დღეების რაოდენობა ცვლადია), მათ შორის ღამის მორიგეობით. პოზიცია როტაციულია და გულისხმობს დღე გამოშვებით მუშაობას ე.წ. რადარ დესკსა და დაგეგმვის ცენტრში.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- რედაქტორად მუშაობის არაუმცირეს 2 წლიანი გამოცდილება (სასურველია საინფორმაციო სააგენტოს მიმართულებით);
- უცხო ენის ცოდნა.

შერჩევის ეტაპები:

- 1) აპლიკაციების გადარჩევა;
- 2) გასაუბრება.

ვაკანსიით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, შეავსოთ სააპლიკაციო ფორმა შემდეგ ბმულზე:
<http://1tv.ge/projects/hiring/>

აპლიკაციების მიღების საბოლოო ვადაა 2016 წლის 9 სექტემბრის **18:00 საათი**.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს. მადლობას გიხდით ვაკანსიით დაინტერესებისთვის.